პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

პარასკევი 8 დეკემბერი 1939 წ.

№ 281 (5681)

ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО И ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

მოსკოვი, კრემლი

## ხალხთა დიდ ბელადს— ამხანაგ სტალინს

**ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!**

თბილისის მშრომელთა სამასათასიანი მიტინგი-დემონსტრაცია, [illegible]

[illegible] თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციის შემომქმედს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს.

დღეს მთელი ჩვენი უმძლავრესი და თვალუწვდენელი სამშობლო უდიდესი აღტყინებითა და აღფრთოვანებით ემზადება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის, რომელიც სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე ტარდება.

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მშრომელებმა მრავალრიცხოვან კრებებზე უდიდესი აღფრთოვანებითა და ერთსულოვნებით დაგასახელეს თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად.

ჩვენ, ისევე როგორც მთელი გმირი საბჭოთა ხალხი, თქვენს სახელს ვუკავშირებთ ყველა ჩვენს გამარჯვებას, რომლებიც ოქროს ასოებით ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში.

თქვენი სახელი, სახელი დიდი **სტალინისა**, რომელმაც 40 წლის წინათ, რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე, დაგვრაზმა **ლენინის** დროშის გარშემო, [illegible]

[illegible] ხროვას, რომელიც დასავლეთ ევროპის იმპერიალისტთა ნება-სურვილს ასრულებს. მტერი გათელილი და გასრესილი იქნება, ვინაიდან ჩვენს გმირულ წითელ არმიას, რომელსაც თავისუფლება მიაქვს ფინელი ხალხისათვის, ზურგს უმაგრებს მთელი ჩვენი დიდი ქვეყანა.

სიტყვას გაძლევთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო **სტალინ,** რომ თვითეული ჩვენგანი პატიოსნად იშრომებს თავის შრომით პოსტზე თავისი სამშობლოს სადიდებლად. ხოლო თუ საჭირო იქნება, ჩვენი მთავრობის პირველი მოწოდებისთანავე, თქვენი პირველი მოწოდებისთანავე, ყველანი, ერთი კაცივით, მკერდით დავიცავთ იმ დიად მონაპოვრებს, რომლებიც ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში.

გაუმარჯოს 183-მილიონიან გმირ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინურ ბლოკს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში!

გაუმარჯოს მამაც, უძლეველ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს, ჩვენს მამას, მასწავლებელს, მეგობარს—მშობლიურ, საყვარელ **სტალინს!**

---

მოსკოვი, კრემლი

## ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვს

**ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ!**

თბილისის მშრომელთა სამასათასიანი მიტინგი-დემონსტრაცია, რომელიც დიადი სტალინური კონსტიტუციის დღესთან და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მზადებასთან დაკავშირებით შეიკრიბა, მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ. დიდი **სტალინის** უახლოეს და ერთგულ თანამებრძოლს, საბჭოთა მთავრობის მეთაურს!

უდიდესი ენტუზიაზმით, უდიდესი სიხარულით წამოაყენეს თბილისის საწარმოთა წინასაარჩევნო კრებებმა თქვენი კანდიდატურა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე.

ამ სახელოვან კანდიდატურას მხურვალედ დაუჭირა მხარი სოციალისტური საქართველოს დედაქალაქის ყველა მშრომელმა, რომელთათვის, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხისათვის, ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვის** სახელი მძლავრი საბჭოთა მთავრობის საყვარელი ხელმძღვანელის სახელს წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირის სტალინურმა საგარეო პოლიტიკამ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა: პანების უღლისაგან განთავისუფლებულია დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხები, ჩვენმა უძლეველმა წითელმა არმიამ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ომის პროვოკატორებს—ფინეთის გათავხედებულ სამხედრო ხროვას, რომელიც ლენინის ქალაქს უპოტინებდა თავის სისხლიან ხელს.

უდიდესი სიხარულის გრძნობით შევხვდით ცნობას იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობამ ძმური დახმარება აღმოუჩინა ფინეთის მშრომელებს, რომლებმაც თავიანთი სახალხო მთავრობა შექმნეს.

თბილისის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, მთლიანად იწონებენ საბჭოთა მთავრობის მტკიცე, განუხრელ, ბრძნულ სტალინურ პოლიტიკას.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნები გადაიქცევა სახელოვანი ბოლშევიკური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, მშობლიური ამხანაგ **სტალინისადმი** მთელი 183-მილიონიანი საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების ახალ მძლავრ დემონსტრაციად.

თბილისის მშრომელთა სამასათასიანი მიტინგის—დემონსტრაციის მონაწილენი სიტყვას გაძლევენ თქვენ, ამხანაგო **მოლოტოვ,** რომ ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება სანიმუშოდ ჩატარდება და უზრუნველჰყოფს კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის ახალ ბრწყინვალე გამარჯვებას.

უდიდესმა სიხარულმა მოიცვა მთელი ქართველი ხალხი, როდესაც მოვიდა ცნობა, რომ თქვენ დასთანხმდით კენჭი იყაროთ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე. ამ სასიხარულო ცნობას თბილისის ყველა მშრომელი იმით უპასუხებს, რომ ახალ საწარმოო წარმატებებს მიაღწევს სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

ჩვენ ყოველ წუთს მზადა ვართ თავი დავდოთ, რათა ყოველგვარი მტრის ხელყოფისაგან დავიცვათ დიდი ოქტომბრის მონაპოვარნი, რომლებიც ოქროს ასოებით არის აღბეჭდილი სტალინურ კონსტიტუციაში.

გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას!

გაუმარჯოს მის გენიალურ შემომქმედს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს, იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინს!**

გაუმარჯოს დიდი **სტალინის** უახლოეს და ერთგულ თანამებრძოლს, მძლავრი საბჭოთა მთავრობის მეთაურს, ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვს!**

---

მოსკოვი

## სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი— ამხანაგ ლ. პ. ბერიას

თბილისის მშრომელთა საერთო-საქალაქო სამასათასიანი მიტინგი - დემონსტრაცია, სტალინური კონსტიტუციის მიღების სამი წლისთავისა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისადმი მიძღვნილი მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, დიდი სტალინის ერთგულ მოწაფეს, ქართველი ხალხის საყვარელ შვილს.

დღეს, სტალინური კონსტიტუციის დღეს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების წინ, საქართველოს მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, აჯამებენ **ლენინ-სტალინის** დროშით მოპოვებულ გამარჯვებათა შედეგებს.

უდიდესი წარმატებანი, რომლებმაც საქართველო საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკების რიგებში ჩააყენეს, მოპოვებულია იმ წლებში, როდესაც თქვენ უშუალოდ ხელმძღვანელობდით საქართველოს ბოლშევიკებს, ზრდიდით მათ პარტიისა და დიდი **სტალინისადმი** უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, შეტევითი სიფხიზლის, ხალხის მტრებისადმი სიძულვილისა და შეურიგებლობის სულისკვეთებით, რაზმავდით საქართველოს მშრომელებს ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის — ამხანაგ **სტალინის** ბრძნულ მითითებათა განხორციელებისათვის საბრძოლველად.

ემზადებიან რა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის, თბილისის მშრომელები კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან მშობლიური ბოლშევიკური პარტიის გარშემო, დიდი **სტალინის** გარშემო.

ამ შესანიშნავ დღეებში ჩვენ უდიდესი აღფრთოვანებით შევხვდით სასიხარულო ცნობას, რომ თბილისის **სტალინის** სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა ჩვენი საყვარელი ბელადი, მამა და მეგობარი დიდი **სტალინი.**

თბილისის ყველა მშრომელი მხურვალედ მიესალმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად საბჭოთა მთავრობის მეთაურის, **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის** და საბჭოთა სახელოვანი დაზვერვის ხელმძღვანელის **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას** წამოყენებას.

თქვენმა თანხმობამ—კენჭი იყაროთ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე—დიდად გაგვახარა, თბილისის ყველა მშრომელის საწარმოო და პოლიტიკური აქტივობის ახალი აზვირთება გამოიწვია. თქვენი თანხმობის საპასუხოდ ვალდებულებას ვკისრულობთ ახალი ენერგიით ვიბრძოლოთ, რათა სტახანოვურ წარმატებებს მივაღწიოთ მთელს ჩვენს მუშაობაში.

დაუვიწყარი სასიხარულო დღესასწაული იქნება ჩვენთვის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხისათვის, ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღე. ერთსულოვნად მივცემთ რა ხმას ხალხის ერთგულ შვილებს—კომუნისტთა და უპარტიოთა უძლეველი სტალინური ბლოკის კანდიდატებს, ჩვენ ხმას მივცემთ ჩვენი საუცხოო სამშობლოს ახალ აყვავებას, მისი ძლევამოსილების უფრო მეტად გაძლიერებას.

გაუმარჯოს ჩვენს სიამაყეს, ჩვენს დიდებას, — ჩვენს დიდ მშობლიურ **სტალინს!**

გაუმარჯოს მძლავრი საბჭოთა მთავრობის მეთაურს, **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს!**

გაუმარჯოს სტალინურ სახკომს, სახელოვანი საბჭოთა დაზვერვის მებრძოლ ხელმძღვანელს, ჩვენს საყვარელ **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!**

---

## № 52 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა

# იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

7 დეკემბერს, საღამოს, პლეხანოვის სახელობის კლუბში შესდგა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 52 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

სხდომას დაესწრნენ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის, თბილისის საორთქლმავლო დეპოს, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის, 26 კომისრის სახელობის ქარხნის, ავტოსარემონტო ქარხნის, მაუდის ფაბრიკის, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბერიას სახელობის რაიონის ხელოვნების მუშაკთა დელეგაციები.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. პ. ზაგაროვსკიმ განაცხადა, რომ საარჩევნო კომისიამ მიიღო ოქმი სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივის საერთო კრებისა, რომელსაც 4.000 კაცი დაეს- [illegible]

[illegible] ლი „ვაშა“ და აღფრთოვანებული შეძახილები ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

სიტყვა ეძლევა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტკომის მდივანს ამხ. მ. კუჭავას.

— ჩვენი ქარხნის ოთხათასიანმა კოლექტივმა, — ამბობს იგი, — თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე ამხანაგი სტალინი აქ, ჩვენს ქარხანაში, ხელმძღვანელობდა მარქსისტულ რევოლუციურ წრეებს, ასწავლიდა მუშებს ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლის ხელოვნებას და რაზმავდა მათ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გადამწყვეტი იერიშის მისატანად.

რეაქციის წლებში, უდიდესი არალეგალობის პირობებში, ლენინი და სტალინი ხელიხელჩაკიდებული იბრძოდნენ მუშათა კლასის საქმისათვის, მშრომელი ხალხის საქმისათვის, ახალი ტიპის პარტიის, ლენინიზმის პარტიის, ბოლშევიკური პარტიის შექმნისა და განმტკიცებისათვის.

აქ, თბილისში, დიდმა სტალინმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოს და ამიერკავკასიის პირველ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს.

სტალინის სახელთან დაკავშირე- [illegible]

[illegible] სის ხალხებს. სტალინის სახელით წითელი არმია, ფინელ ხალხთან ხელიხელჩაკიდებული, ახდენს ომის უსაშიშროესი კერის ლიკვიდაციას და ბედნიერება და სიხარული მიაქვს ფინელი ხალხისათვის.

— ჩვენი ქარხნის კოლექტივის სახელით, — ამთავრებს ამხ. კუჭავა, — ვთხოვ საარჩევნო კომისიას მე-52 საარჩევნო ოლქში თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს ამხანაგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

დარბაზში ჰქუხს ოვაცია, გაისმის შეძახილები „ვაშა!“, „ურა!“, „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“, „გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას!“

შემდეგ გამოდიან: თბილისის დეპოს სტახანოველი ოსტატი ამხ. დომბრავა, პროფესორი ხარაძე, მაუდის ფაბრიკის სტახანოველი ოსტატი ამხ. შევჩენკო, ორდენოსანი პოეტი ს. ჩიქოვანი და საქართველოს კ. პ. (ბ) ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. ჩუბინიძე.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ამხ. ქ. ნადარეიშვილი აქვეყნებს დადგენილების პროექტს. მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციითა და აღფრთოვანებული შეძახილებით შეხვდნენ დამსწრენი კომისიის დადგენილებას № 52 საარჩევნო ოლქში თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ სტალინის რეგისტრაციის შესახებ.

(საქდესი).

### მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 52 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის დადგენილება

განიხილა რა საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული დოკუმენტები თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენების შესახებ, საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადასტურა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები სავსებით შეესაბამება [illegible] 70, 71, 72, 74, 75 და 76 მუხლებს და დაადგინა: არჩევნების დებულების 75 მუხლის საფუძველზე № 52 საარჩევნო ოლქში მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრირებულ იქნას ამხანაგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი, დაბადებული 1879 წელს, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, მცხოვრები ქალაქ მოსკოვში, კრემლში, წამოყენებული სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის [illegible] რომელსაც 4.000 კაცი დაესწრო.

არჩევნების დებულების 80 მუხლის საფუძველზე ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის კანდიდატურა შეტანილ იქნას № 52 საარჩევნო ოლქის საარჩევნო ბიულეტენში.

არჩევნების დებულების 79 მუხლის შესაბამისად, დადგენილება გამოქვეყნდეს საყოველთაო ცნობისათვის.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პ. ა. ზაგაროვსკი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გ. დ. ხაჩატუროვი, კომისიის წევრები: ა. დ. დემეტრაშვილი, ი. ი. გორფინკელი, კომისიის მდივანი ქ. ს. ნადარეიშვილი.

1939 წლის 7 დეკემბერი.

---

## № 349 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა

# ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი

7 დეკემბერს, საღამოს, ბერიას სახელობის კულტურის სახლში შესდგა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 349 საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

დარბაზში არიან კიროვის სახელობის სახელმწიფო ინდუსტრიული ინსტიტუტის, თბილისის აეროკლუბისა და თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის დელეგაციები, № 2 სამკერვალო ფაბრიკის, სტალინის სახელობის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკისა და სხვა საწარმოთა სტახანოველები.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ნ. კლოჩკოვმა განაცხადა, რომ საარჩევნო კომისიამ მიიღო ოქმი თბილისის № 2 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივის საერთო კრებისა, რომელსაც 1.400 კაცი დაესწრო, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის წამოყენების შესახებ.

ამხანაგმა მოლოტოვმა თანხმობა განაცხადა კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე № 349 საარჩევნო ოლქში.

— უდიდესი სიხარულის გრძნობით, — ამბობს ამხ. ნ. კლოჩკოვი,— ვხსნი საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომას, რომელზედაც ჩვენ უნდა გამოვიტანოთ გადაწყვეტილება დეპუტატობის კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ.

სიტყვას იღებს ორდენოსანი პროფესორი კ. ს. ზავრიევი. იგი გამოდის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის დელეგაციის სახელით.

— ვ. მ. მოლოტოვი,—ამბობს იგი, —დიდი რუსი ხალხის სახელოვანი შვილი და ამხანაგ სტალინის უახლოესი თანამებრძოლია. ბრძნული სტალინური პოლიტიკის ერთგული გამტარებელი, იგი უკვე დიდი ხანია სათავეში უდგას საბჭოთა კავშირის მთავრობას. ამხ. მოლოტოვი დაყენებულია საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სათავეში. ამხანაგ მოლოტოვის ყოფნა ამ პოსტზე აღინიშნა საბჭოთა სამშვიდობო პოლიტიკის ისეთი დიდი გამარჯვებებით, როგორიცაა გერმანიასთან დადებული ხელშეკრულება საზღვრისა და მეგობრობის შესახებ, უკრაინისა და ბელორუსიის მოძმე ხალხების განთავისუფლება, ურთიერთდახმარების პაქტები ესტონეთთან, ლატვიასთან და ლიტვასთან, ურთიერთდახმარებისა და მეგობრობის ხელშეკრულება ფინეთის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

— მე ბედნიერება მქონდა, როგორც საქართველოს სს რესპუბლიკის დელეგაციის წევრს, კრემლში მიღების დროს მომესმინა ამხანაგ მოლოტოვის სიტყვა. ეს სიტყვა გამსჭვალული იყო ლენინ-სტალინის საქმის გამარჯვების ურყევი რწმენით.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე № 2 სამკერვალო ფაბრიკის სტახანოველი ქალი ნ. ჯაფარიძე, აეროკლუბის კოლექტივის სახელით ფ. ევლანოვი, სტალინის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივის სახელით — სტახანოველი ნ. ჯაშიაშვილი, ორდენოსანი პოეტი ი. აბაშიძე, სახელმწიფო ინდუსტრიული ინსტიტუტის დელეგაციის სახელით —დ. ბუდილევი და საქ. კ. პ. (ბ) კიროვის რაიკომის მდივანი ნ. გალუსტოვი.

მქუხარე ტაშით შეხვდნენ დამსწრენი ერთსულოვან დადგენილებას № 349 საარჩევნო ოლქში თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე საბჭოთა მთავრობის მეთაურის ვ. მ. მოლოტოვის რეგისტრაციის შესახებ. (საქდესი).

### მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 349 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის დადგენილება

განიხილა რა საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული დოკუმენტები თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენების შესახებ, საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადასტურა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები სავსებით შეესაბამება საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის), რაიონული, საქალაქო, სასოფლო, და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების 70, 71, 72, 74, 75 და 76 მუხლებს და დაადგინა: არჩევნების დებულების 75 მუხლის საფუძველზე № 349 საარჩევნო ოლქში მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრირებულ იქნას ამხანაგი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი, დაბადებული 1890 წელს, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, მცხოვრები ქ. მოსკოვში, კრემლში, წამოყენებული საქართველოს სს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის № 2 სამკერვალო ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ, რომელსაც 1.400 კაცი დაესწრო.

არჩევნების დებულების 80 მუხლის საფუძველზე ამხანაგ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის კანდიდატურა შეტანილ იქნას № 349 საარჩევნო ოლქის საარჩევნო ბიულეტენში.

არჩევნების დებულების 79 მუხლის შესაბამისად, დადგენილება გამოქვეყნდეს საყოველთაო ცნობისათვის.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნ. ა. კლოჩკოვი, თავმჯდომარის მოადგილე გ. ფ სირბილაძე, კომისიის წევრები: ი. ა. კრიცკაია, გ. ზ. ბელუჯიანი, კომისიის მდივანი ო. ს. მეტრეველი.

1939 წლის 7 დეკემბერი.

---

## № 247 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა

# ლავრენტი პავლეს-ძე ბერია

7 დეკემბერს, საღამოს, სომხურ სახელმწიფო დრამატიულ თეატრში შესდგა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 247 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

თეატრის დარბაზი გაივსო თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის, წისქვილკომბინატის, ხორცკომბინატის, საკონდიტრო ფაბრიკის, საფერმენტაციო ქარხნისა და 26 კომისრის სახელობის რაიონის სხვა საწარმოთა და დაწესებულებათა დელეგაციებით, ხელოვნების მუშაკთა დელეგაციით, მწერლებით, თბილისის მეცნიერი მუშაკებით.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ელენე სანტურიანმა განაცხადა, რომ საარჩევნო კომისიამ მიიღო ოქმი თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივის საერთო კრებისა, რომელსაც ფაბრიკის 4.000 მუშა, ინჟინერი, ტექნიკოსი და მოსამსახურე დაესწრო, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას წამოყენების შესახებ.

იგი კითხულობს ამხ. ბერიასაგან მიღებული დეპეშის ტექსტს:

„გულწრფელ მადლობას ვუძღვნი თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშაკთა მთელ კოლექტივს, რომელმაც დიდი ნდობა გამომიცხადა ჩემი კანდიდატურის წამოყენებით მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად.

მხურვალე სალამს ვუძღვნი ფაბრიკის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს და მოსამსახურეებს, ვუსურვებ ფაბრიკას წარმატებით დაამთავროს 1939 სამეურნეო წელი და ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდეს ახალ წელს.

გაცნობებთ, რომ თანახმა ვარ კენჭი ვიყარო მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე № 247 საარჩევნო ოლქში.

**სალამი ლ. ბერია“**

შეკრებილნი ამ სასიხარულო ცნობას მქუხარე ტაშით ხვდებიან.

სიტყვას იღებს თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის გამომჭრელი სტახანოველი ა. კ. შახატუნიანი. იგი ლაპარაკობს იმ გრანდიოზულ წარმატებებზე, რომლებსაც საბჭოთა საქართველომ მიაღწია იმ წლებში, როდესაც საქართველოს ბოლშევიკებს ხელმძღვანელობდა მტკიცე სტალინელი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია, რომელმაც მთელი ქართველი ხალხი აღზარდა ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულის სულისკვეთებით.

— აი რატომ არის ასე უსაზღვროდ გახარებული ჩვენი ფაბრიკის ოთხათასიანი კოლექტივი,—ამთავრებს თავის სიტყვას ამხ. შახატუნიანი,—იმ ამბის გაგებით, რომ ქართველი ხალხის საყვარელმა შვილმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ თანხმობა გამოაცხადა კენჭი იყაროს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოში.

შემდეგ გამოდიან: წისქვილკომბინატის სტახანოველი ოსტატი ამხ. ს. ი. ოსტროვსკი, თბილისის ბერიას სახელობის სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი ამხ. ნ. ხაჟაპურიძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რეჟისორი ამხ. შ. ახსაბაძე, პარტიის 26 კომისრის სახელობის რაიონული კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. სიხარულიძე და სხვ.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანმა ამხ. ასრიევმა წაიკითხა პროექტი დადგენილებისა, რომელიც კომისიამ ერთხმად მიიღო.

კრების დამსწრენი მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციებით შეხვდნენ კომისიის დადგენილებას თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ ლ. პ. ბერიას რეგისტრაციის შესახებ. (საქდესი).

### მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 247 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის დადგენილება

განიხილა რა საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული დოკუმენტები საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენების შესახებ, საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადასტურა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები სავსებით შეესაბამება არჩევნების დებულების 70, 71, 72, 74, 75 და 76 მუხლებს და დაადგინა: არჩევნების დებულების 75 მუხლის საფუძველზე № 247 საარჩევნო ოლქში საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრირებულ იქნას ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია, დაბადებული 1899 წელს, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, მცხოვრები ქ. მოსკოვში, წამოყენებული ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივის საერთო კრების მიერ, რომელსაც 4.000 კაცი დაესწრო.

არჩევნების დებულების 80 მუხლის საფუძველზე ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას კანდიდატურა შეტანილ იქნას № 247 საარჩევნო ოლქის საარჩევნო ბიულეტენში.

არჩევნების დებულების 79 მუხლის შესაბამისად, დადგენილება გამოქვეყნდეს საყოველთაო ცნობისათვის.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ე. სანტურიანი, თავმჯდომარის მოადგილე ი. მ ამალაძე, კომისიის წევრები: ზ. გრიგორიანი, ვ. კალანდარიშვილი, მდივანი გ. ასრიევი.

1939 წლის 7 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საყოველთაო სახალხო ზეიმი თბილისში

## ბერიას სახელობის მოედანზე

ზეიმით იდღესასწაულეს თბილისის მშრომელებმა სტალინური კონსტიტუციის დღე. სადღესასწაულოდ მორთულმა ქალაქმა ადრე გაიღვიძა. დილის 8 საათიდან გაე- [illegible]

[illegible] **ვ. სიხარულიძე, ნ. გალუსტოვი, ნ. ჩარკვიანი, პ. მჭედლიძე,** პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მრავალი წარმომადგენელი.

თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. **ი. კოჭლამაზაშვილი** ხსნის მიტინგს. ათობით რადიორეპროდუქტორი გადასცემს ამხ. ი. კოჭლამაზაშვილის მისალოც სიტყვას.

ტრიბუნაზე ადის საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **კ. ნ. ჩარკვიანი.** იგი თბილისის მშრომელებს აუწყებს სასიხარულო ამბავს: დიდმა **სტალინმა** და მისმა უახლოესმა თანამებრძოლებმა—ამხანაგებმა **ვ. მ. მოლოტოვმა** და **ლ. პ. ბერიამ** თანხმობა განაცხადეს კენჭი იყარონ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატობაზე. მქუხარე, აღფრთოვანებული შეძახილებით ხვდებიან მიტინგის მონაწილენი სასიხარულო ამბავს. გრიალებს ტაში. გაისმის მისალმების შეძახილები მშობლიური სტალინის პატივსაცემად. ხანგრძლივი ოვაცია ფარავს ორკესტრების ხმას. გაერთიანებული გუნდი ასრულებს დიდებულ სიმღერას სტალინზე.

ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის სიტყვა, რომელიც მიეძღვნა დიადი დღესასწაულის დღეს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მომავალ არჩევნებს, მოსმენილ იქნა დიდი ყურადღებით. მქუხარე ოვაცია გაისმის მოედანზე ყოველთვის, როცა ამხ. ჩარკვიანი დიდი **სტალინის** სახელს ახსენებს.

სიტყვა ეძლევა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის წარჩინებულ სტახანოველს, ამხ. **მ. გეწაძეს.**

ამხ. მ. გეწაძე ლაპარაკობს თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სახელოვანი ოთხათასიანი კოლექტივის დიდ საწარმოო გა- [illegible]

[illegible] ის ლაპარაკობს იმაზე, თუ რა უსაზღვრო სიხარულმა მოიცვა ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივი, როცა მან გაიგო, რომ ქართველი ხალხის ერთგული შვილი, ურყევი სტალინელი, საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელი ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერია დასთანხმდა კენჭი იყაროს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატობაზე.

მიტინგზე შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვეს საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის პროფესორმა **გ. მუხაძემ,** პოეტმა **გ. ლეონიძემ,** რუსთაველის თეატრის მსახიობმა **დ. მჟავიამ.**

მიტინგი დამთავრდა. დაიწყო სადღესასწაულო მსვლელობა. ქალაქის საწარმოთა მუშებმა, მოსამსახურეებმა, საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლებმა—პედაგოგებმა, ბედნიერმა სტუდენტობამ, მოსწავლეებმა მწყობრი რიგებით ჩაიარეს ტრიბუნას. ქალაქის მშრომელებთან ერთად დემონსტრაციაში მონაწილეობდნენ უძლეველი წითელი არმიის წარმომადგენლები.

მოზეიმე ხალხის მხიარული ხმის, მუსიკისა და სიმღერის გუგუნმა აავსო მოედანი. ჰაერში აფრიალდა წითელი ლენტი. მას ზევით სწევს სამი დიდი ბურთულა. ლენტზე ლამაზად აღბეჭდილია თარიღი—24 დეკემბერი. ამ დღეს საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მშრომელნი ხმას მისცემენ კომუნისტთა და უპარტიოთა უძლეველი სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

მსვლელობა ორნახევარ საათს გრძელდებოდა. თბილისის 300 ათასზე მეტმა მშრომელმა მიიღო მონაწილეობა ამ საუცხოო სახალხო დღესასწაულში. (საქდესი).

## ამხ. მ. გეწაძის სიტყვა

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველი, ორდენოსანი

ამხანაგებო! სამი წლის წინათ, 1936 წლის 5 დეკემბერს, საბჭოების საგანგებო VIII ყრილობამ მიიღო საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია. მრავალმილიონიანმა და მრავალერიანმა საბჭოთა ხალხმა ახალ კონსტიტუციას უწოდა სტალინური კონსტიტუცია, ვინაიდან მისი შემომქმედია დიდი **სტალინი. (მქუხარე ტაში).**

ჩვენი ბედნიერი ქვეყანა იფურჩქნება სტალინური კონსტიტუციის დროშის ქვეშ.

სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე ჩვენ ავირჩიეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები. სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე ჩვენ ავირჩევთ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს.

ამხანაგებო! მთელი კოლექტივი ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნისა, რომელიც დიდი სტალინის სახელს ატარებს, უსაზღვროდ ბედნიერია და ამაყობს იმით, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად მან დაასახელა ხალხთა ბელადი დიდი სტალინი.

ჩვენი გული სიხარულით აავსო ცნობამ, რომ დიდმა სტალინმა მოგვცა თანხმობა კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 52 საარჩევნო ოლქში. **(ტაში. შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“).**

ჩვენი ქარხნის კოლექტივი ამხანაგ სტალინის თანხმობას კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე შრომითი ენტუზიაზმის უდიდესი აღმავლობით ხვდება.

მიმდინარე წლის საწარმოო პროგრამა ჩვენ გადაჭარბებით შევასრულეთ 1 დეკემბრისათვის. ეს არის ჩვენი სტახანოვური საჩუქარი დედა-სამშობლოსადმი.

ამხანაგებო! სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ გაიზარდა და განმტკიცდა ჩვენი ქვეყნის ძლიერება. ჩვენი სოციალისტური მეურნეობა არაჩვეულებრივი ტემპებით მიდის წინ. ჩვენმა მძლავრმა წითელმა არმიამ თავისუფლება და სიხარული მიუტანა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელ მოსახლეობას, რომელიც დღეს საბჭოების ქვეყნის მრავალმილიონიან ხალხთან ერთად სიხარულით ზეიმობს სტალინური კონსტიტუციის დღეს.

ამხანაგებო! როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების დროს, ისე ახლაც ჩვენ გამოვდივართ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინურ ბლოკში.

ჩვენ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელეთ საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ამხანაგი **კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი.**

ჩვენ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დავასახელეთ აგრეთვე წარჩინებული სტახანოველი - შემდუღებელი ორდენოსანი ამხ. **ზაქარია ნადირაძე,** სტახანოველი მჭედელი ამხ. **გუგულაშვილი** და საწარმოს სხვა მოწინავე ადამიანები.

კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატები დიდი ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობენ ამომრჩეველთა შორის.

გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას!

გაუმარჯოს მომავალ არჩევნებში კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინურ ბლოკს.

გაუმარჯოს სრულიად - საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას და დიდ **სტალინს! (მქუხარე ტაში).**



5 დეკემბერს თბილისის ლ. ბერიას სახელობის მოედანზე გამართულ მიტინგ-დემონსტრაციაზე. მთავრობის ტრიბუნაზე (მარცხნიდან მარჯვნივ): პირველ რიგში—ამხანაგები კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, კ. შეროზია; მეორე რიგში—ამხანაგები მ. ჯაში, ს. ხოშტარია. ფოტო ვ. გინზბურგის.

## ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის სიტყვა

ამხანაგებო! დღეს, საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის დღეს, სასიხარულო ამბავი უნდა გადმოგცეთ: ხალხთა საყვარელმა ბელადმა, სოციალიზმის კონსტიტუციის შემომქმედმა დიდმა **სტალინმა** თანხმობა მოგვცა კენჭი იყაროს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს დეპუტატობაზე. **(მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. შეძახილები: „გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!“ „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“).**

ეს ცნობა დიდად გაახარებს თბილისისა და მთელი საბჭოთა საქართველოს მშრომელებს. იგი უსაზღვრო სიხარულითა და სიამაყით აავსებს მათ გულს. **სტალინი,** რომლის სახელიც სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებათა სიმბოლოს წარმოადგენს და რომლისკენაც მიმართულია მთელი დედამიწის ჩაგრულთა საუკეთესო ოცნებანი და იმედები, პირველი იქნება ქ. თბილისის მუშებისა და ინტელიგენციის მიერ არჩეულთა შორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოში, რომლის არჩევნებიც დიადი სტალინური კონსტიტუციის პრინციპების საფუძველზე ხდება!

ჩვენს ქალაქს წილად ხვდა უდიდესი ბედნიერება!

თავისი თანხმობით — კენჭი იყაროს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს დეპუტატობაზე — ამხანაგმა **სტალინმა** უდიდესი პატივი დასდო და ნდობა გამოუცხადა ქალაქ თბილისს — საქართველოსა და კავკასიის ბოლშევიზმის აკვნის—სახელოვან მუშათა კლასს და საბჭოთა ინტელიგენციას.

თბილისსა და საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ჩასახვისა და აღმავლობის მთელი ისტორია განუყრელად არის დაკავშირებული ამხანაგ **სტალინის** სახელთან.

ამხანაგმა **სტალინმა,** კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ფუძემდებელმა, პირველმა აამოძრავა საქართველოს მუშები და გლეხები ნამდვილი რევოლუციური ბრძოლისათვის და იგი თავისი გენიით უკაფავდა და უნათებდა მათ გზას გამარჯვებისაკენ.

რკინიგზის მთავარი სახელოსნოები — ამჟამად ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა, რომელიც სიამაყის გრძნობით ატარებს ბელადის ძვირფას სახელს,—და ქალაქ თბილისის მრავალი სხვა საწარმოს მუშები მარქსისტულ-ლენინურ ანბანს სწავლობდნენ პირველ არალეგალურ წრეებში, რომლებსაც ახალგაზრდა **სტალინი** ხელმძღვანელობდა და რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე. მათი პირველი საბრძოლო ნათლობა მოხდა ქ. თბილისის ქუჩებში გამართული რევოლუციური გამოსვლების დროს, რომლებიც ახალგაზრდა **სტალინმა** მოაწყო და რომლებსაც თვითონვე ხელმძღვანელობდა.

ამხანაგ **სტალინის** მეთაურობით კავკასიის ახალგაზრდა ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა ბრწყინვალე ფურცლები ჩასწერეს რუსეთის პირველი რევოლუციის მომზადებისა და გაჩაღებისათვის წარმოებული გმირული ბრძოლის ისტორიაში.

1905 წლის შემდეგ დაწყებული შავბნელი რეაქციის დროს ამხანაგ **სტალინის** შეუდრეკელი ნებისყოფა წარმართავდა კავკასიის მუშათა მოძრაობას, რაზმავდა მასებს ცარიზმისა და კაპიტალიზმისათვის გამანადგურებელი ლახვრის ჩასაცემად.

ხალხის დაუძინებელი მტრების—მენშევიკებისა და მათი დამქაშების გამცემლობის მიუხედავად, ყველა და ყოველგვარი შტრეიკბრეხერებისა და რევოლუციის დეზერტირების გამხრწნელი მუშაობის მიუხედავად, ამხანაგი **სტალინი** მშრომელებში მტკიცე რევოლუციურ სულისკვეთებას, მუშათა კლასის საქმის საბოლოო გამარჯვების დაუშრეტელ რწმენას ნერგავდა და ამკვიდრებდა.

დიდმა **ლენინმა** და დიდმა **სტალინმა** გრანიტის საფუძვლები ჩაუყარეს ბოლშევიზმს. **ლენინმა და სტალინმა** შექმნეს ახალი ტიპის პარტია, ბოლშევიკთა პარტია, რომელმაც თავისი გენიალური ბელადების ხელმძღვანელობით წაიყვანა მეფის რუსეთის მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა კაპიტალიზმის ციხე - სიმაგრეებზე ძლევამოსილი იერიშის მისატანად. სამოქალაქო ომის წლებში **ლენინი** და **სტალინი** საბჭოთა ხალხს რაზმავდნენ და აღაფრთოვანებდნენ იმპერიალისტური ინტერვენციისა და შინაური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად. **ლენინმა** და **სტალინმა** შექმნეს მძლავრი წითელი არმია — საბჭოთა კავშირის მშრომელთა მშვენება და სიამაყე.

როდესაც 1924 წლის იანვარში უდიდესი გლოვით მოცული მთელი ჩვენი ქვეყანა **ლენინის** კუბოსთან იდგა, ამხანაგმა **სტალინმა** მთელი პარტიის სახელით, მთელი ხალხის სახელით დასდო თავისი დიადი ფიცი ბელადის წინაშე, რომელიც ჩვენგან მიდიოდა.

პარტიამ და ხალხმა ეს ფიცი სტალინური სიზუსტით შეასრულეს.

ამხანაგმა **სტალინმა,** დიდი **ლენინის** გენიალურმა თანამებრძოლმა და მისი საქმის განმგრძობმა, მოაწყო ბრძოლა ჩვენი პარტიის რიგების ერთიანობის დასაცავად, მარქს-ენგელს-ლენინის ყოვლისმძლე მოძღვრების დასაცავად.

პარტიამ და ხალხმა ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით გაანადგურეს და მოსპეს საზიზღარი ტროცკისტ-ბუხარინელი გამცემლები, რომლებიც ცდილობდნენ დაექცათ ბოლშევიზმის დიადი დროშა და საჯიჯგნად და გასაძარცვად მიეგდოთ ჩვენი ქვეყანა უცხოელი იმპერიალისტებისათვის.

საბჭოთა ხალხი მომავალშიაც შეუბრალებლად მოსპობს მტრის საზიზღარ ნაბოლარებს.

სამი წლის წინათ სსრ კავშირის საბჭოების საგანგებო VIII ყრილობამ მიიღო ეპოქის უდიდესი დოკუმენტი — სტალინური კონსტიტუცია, რომელშიაც გენიალური სიცხადით არის შეჯამებული საბჭოთა კავშირში სოციალიზმის ისტორიულ გამარჯვებათა შედეგები.

5 დეკემბერი—ახალი კონსტიტუციის დღე, საყოველთაო-სახალხო დღესასწაული გახდა. სოციალიზმის ბედნიერი ქვეყნის მშრომელები წლითი-წლობით სულ ახალ-ახალი მიღწევებით ხვდებიან ამ დღეს. მაგრამ განსაკუთრებით დიდია მათი სიხარული დღეს, სტალინური კონსტიტუციის მიღების მესამე წლისთავზე. ამ დღისათვის საბჭოთა ხალხების ერთიანი უძლეველი ოჯახი კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი გახდა. სოციალისტური სახელმწიფოს საზღვრები მნიშვნელოვნად გაფართოვდა კაპიტალიზმის ხარჯზე. ეს ერთერთი ყველაზე შესანიშნავი მიღწევაა, რომლითაც სამართლიანად შეუძლია იამაყოს მძლავრმა მრავალეროვანმა საბჭოთა ხალხმა. უძლეველი წითელი არმიის დახმარებით, დიდი **სტალინის** დახმარებით თავისუფლება მოიპოვა ჩვენმა 13 მილიონმა თვისტომმა ძმამ, რომლებიც პოლონელი მემამულეებისა და ბურჟუაზიის საშინელ უღელქვეშ ჰგმინავდნენ! **(მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის).**

ამ გამარჯვებამ, რომელმაც უჭკნობი სახელი მოუპოვა წითელი არმიის საბრძოლო დროშებს, მთელს მსოფლიოს დაანახვა არა მარტო ურყევი ძლიერება სოციალიზმის შეიარაღებული ძალებისა, არამედ ისიც, რომ ჩვენი ხალხი ერთგულია თავისი ინტერნაციონალური მოვალეობისა და ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დიადი პრინციპებისა.

სოციალიზმის ქვეყანა კიდევ უფრო მდიდარი და ძლევამოსილი ხვდება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს. სოციალისტური ქარხნებისა და ფაბრიკების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრების სტახანოველებმა, ფიზიკური და გონებრივი შრომის ყველა მუშაკმა მნიშვნელოვნად გაამრავლეს ჩვენი ხალხის დოვლათი და კულტურული მიღწევები. დღითიდღე მაღლდება მშრომელთა საარსებო დონე. ახალ საფეხურზე დგება სოციალისტური კულტურა და მეცნიერება. იზრდება წითელი არმიის საბრძოლო ძლიერება. სძლევს და სპობს რა თავის გზაზე ყველა და ყოველგვარ დაბრკოლებებს, მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ ჩვენი ქვეყანა კომუნიზმის მოკაშკაშე მწვერვალებისაკენ. ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს ამ წინსვლას, ვინაიდან საბჭოთა ხალხს ხელმძღვანელობს ბოლშევიკთა პარტია და ბრძენი, გენიალური ბელადი, ჩვენი **სტალინი.** (მქუხარე ტაში).

№ 2 სამკერვალო ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ, რომელიც 1939 წლის 29 ნოემბერს შესდგა, ქ. თბილისის ყველა მშრომელის საერთო აზრი გამოჰხატა, როდესაც მან თბილისის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა დიდი **სტალინის** უახლოესი თანამებრძოლი, მძლავრი საბჭოთა მთავრობის მეთაური, დიდი რუსი ხალხის ღირსეული შვილი, ამხანაგი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვი. (მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ მოლოტოვს!“)**

ამხანაგმა **მოლოტოვმაც** მოგვცა თანხმობა კენჭი იყაროს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს დეპუტატობაზე.

მაღალი ნდობა, რომელიც ამხანაგმა **სტალინმა** და ამხანაგმა **მოლოტოვმა** გამოუცხადეს ქ. თბილისის მშრომელებს, გვაკისრებს კიდევ უფრო მეტად გავაძლიეროთ მზადება საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის — მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღისათვის და მივაღწიოთ კომუნისტთა და უპარტიოთა ძლევამოსილი სტალინური ბლოკის გამარჯვებას.

ამხანაგებო! აღორძინებული ქართველი ხალხის ყველა ისტორიული მიღწევა დაკავშირებულია ერთგული სტალინელის, ჩვენი მშობლიური ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას** სახელთან. **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგმა **ბერიამ** ქართველი ხალხი აღზარდა ბოლშევიკური პარტიისადმი, ამხანაგ **სტალინისადმი** უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულის სულისკვეთებით. ასრულებდა რა დიდი **სტალინის** მითითებებს, ამხანაგმა **ბერიამ** უზრუნველჰყო ამიერ - კავკასიის ყველა მოძმე ხალხის კულტურისა და მეურნეობის ნამდვილი აყვავება.

ამიტომ არის, რომ საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მშრომელები უდიდესი სიყვარულით წარმოსთქვამენ მის ძვირფას სახელს. ამიტომ იყო, რომ ქ. თბილისის საწარმოების, უმაღლესი სასწავლებლებისა და დაწესებულებათა მუშებმა და ინტელიგენციამ მხურვალედ დაუჭირეს მხარი ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის კოლექტივის გადაწყვეტილებას მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ **ბერიას** წამოყენების შესახებ.

ამხანაგმა **ბერიამ** თანხმობა განაცხადა კენჭი იყაროს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს დეპუტატობაზე. **(მქუხარე ტაში. შეძახილები: „გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!“).**

ამხანაგ **სტალინთან** ერთად, ამხანაგ **მოლოტოვთან** ერთად, თბილისის საბჭოში ხალხის საყოველთაო რჩეული იქნება ამხანაგი **ბერია,** რომლის დაუღალავი მზრუნველობის მეოხებითაც სანიმუშო სოციალისტური ქალაქის მშენებლობითა და სილამაზით გაბრწყინდა საქართველოს ძველი დედაქალაქი.

სტალინური კონსტიტუციის მესამე წლისთავს ჩვენ საბჭოთა ხალხის პატრიოტული გრძნობების უდიდესი აღტყინების ვითარებაში ვატარებთ. დღეს სსრ კავშირის მშრომელთა მთელი აზრი და გრძნობა მიმართულია ლენინგრადის სამხედრო ოლქის მამაცი წითელი მებრძოლებისაკენ, რომლებსაც მსოფლიო ომის გამჩაღებელთა სისხლიანი აგენტების ბატონობისაგან განთავისუფლება მიაქვთ მოძმე ფინელი ხალხისათვის.

პირწავარდნილ ავანტიურისტებს, ფინელი ხალხის დაუძინებელ მტრებს, ყველა ამ კაიანდერებს, ერკოებს, ტანერებს, მანერჰაიმებს მოსვენებას არ აძლევდა ყოფილი პანების პოლონეთის უბადრუკ მმართველთა დაფნის გვირგვინი. ფინელი ხალხი, თავისი კანონიერი სახალხო მთავრობის მეთაურობით და წითელი არმიის დახმარებით კუთვნილს მიუზღავს მათ და, კარელიის თვისტომ ხალხთან გაერთიანებული, დიდ საბჭოთა კავშირთან მეგობრობით უზრუნველჰყოფს თავისთვის მშვიდობიან შრომასა და ნამდვილ დამოუკიდებლობას.

ემზადებიან რა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის, სსრ კავშირის ხალხები ცხადჰყოფენ თავიანთ ურღვევ მორალურ - პოლიტიკურ ერთიანობას, თავიანთ მჭიდროდ დარაზმვას ბოლშევიკური პარტიის გარშემო, თავიანთ მხურვალე სიყვარულსა და ერთგულებას მათი ბედნიერი ცხოვრების შემომქმედის —მშობლიური **სტალინისადმი. (ტაში).**

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ერთიან 183-მილიონიან ძმურ ოჯახს!

გაუმარჯოს კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის გამარჯვებას მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში!

გაუმარჯოს მამაც წითელ არმიას და რკინის სახკომს, საბჭოთა კავშირის პირველ მარშალს, ამხანაგ **ვოროშილოვს! (მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს ქართველი ხალხის ერთგულ შვილს, ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას! (მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობის მეთაურს, დიდი **სტალინის** უახლოეს თანამებრძოლს — ამხანაგ **მოლოტოვს! (მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ **სტალინს! (მქუხარე ტაში, შეძახილები: „ვაშა!“, „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“, „გაუმარჯოს ამხანაგ მოლოტოვს!“, „სალამი ქართველი ხალხის საყვარელ შვილს ამხანაგ ბერიას!“).**

## ამხ. ნ. კახელაშვილის სიტყვა

№ 2 სამკერვალო ფაბრიკის სტახანოველი

ამხანაგებო, სტალინურ კონსტიტუციაში ჩაწერილია საბჭოთა ხალხის უდიდესი მონაპოვრები, რომლებიც მიღწეულია ბოლშევიკური პარტიის, ჩვენი ბელადის, მამისა და მასწავლებლის დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით.

მრავალრიცხოვან წინასაარჩევნო კრებებზე ჩვენი სამშობლოს მშრომელნი ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად ასახელებენ ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანებს, პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს.

თბილისის № 2 სამკერვალო ფაბრიკის მუშათა, მუშა-ქალთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ბოლშევიკური პარტიის სახელოვანი შვილი, მძლავრი საბჭოთა მთავრობის მეთაური ამხანაგი **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.**

თბილისის მშრომელთათვის დიდ სიხარულს წარმოადგენს ცნობა, რომ ამხანაგი მოლოტოვი თანახმაა კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე № 349 საარჩევნო ოლქში **(მქუხარე ტაში).**

თბილისის მშრომელნი საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელებთან ერთად ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას** მიერ აღზრდილნი არიან სტალინური ტრადიციების სულისკვეთებით, ისე, როგორც არასოდეს, დარაზმული არიან პარტიის, საქ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და დიდი **სტალინის** გარშემო. **(მქუხარე ტაში).**

უდიდესი აღფრთოვანებით, ახალი საწარმოო წარმატებებით ხვდებიან თბილისის მშრომელნი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეს.

ყველა მშრომელები, როგორც ერთი კაცი, თავიანთ ხმებს მისცემენ მთელი საბჭოთა ხალხის კანდიდატებს—დიდ **სტალინს** და მის ერთგულ მოწაფეებს ამხანაგ **მოლოტოვსა** და ამხანაგ **ბერიას. (მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას!

გაუმარჯოს ორდენოსან საქართველოს!

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს დიდ **სტალინს! (მქუხარე ოვაცია. შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“, „გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამხანაგ მოლოტოვს!“, „გაუმარჯოს ამხანაგ ბერიას!“).**

## ამხ. ლ. გ. ყაზაროვის სიტყვა

ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის ინჟინერი

ქართველი ხალხი უდიდესი წარმატებებით ხვდება დღევანდელ სასიხარულო დღესასწაულს — სტალინური კონსტიტუციის მიღების სამი წლისთავს.

საქართველო, მეფის რუსეთის ყოფილი კოლონია, წარსულში ჩაგრული და ჩამორჩენილი, — გადაიქცა მოწინავე ორდენოსან საბჭოთა რესპუბლიკად, დიადი საბჭოთა კავშირის მარგალიტად. მას სახე უცვალეს ახალმა ინდუსტრიულმა კერებმა. მრეწველობის ახალმა დარგებმა, აყვავებულმა კოლმეურნეობებმა. დიდია მიღწევები კულტურული მშენებლობის საქმეში.

ეს წარმატებები ქართველმა ხალხმა მოიპოვა ლენინ-სტალინის პარტიის დიადი დროშით, სტალინური კონსტიტუციის დროშით. ისინი მოპოვებულია ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** ხელმძღვანელობით, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში რაზმავდა საქართველოს პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს პარტიის დირექტივების, დიდი **სტალინის** ბრძნული მითითებების განხორციელებისათვის საბრძოლველად. **(მქუხარე ტაში).**

ამ დღეებში ჩვენი ფაბრიკის ოთხათასიანმა კოლექტივმა ერთსულოვნად წამოაყენა ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** კანდიდატურა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე. ჩვენი კოლექტივის ამ გადაწყვეტილებას უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა თბილისის ყველა მშრომელი. **(ტაში).**

ჩვენი გული სიამაყის გრძნობით აავსო ცნობამ, რომ ჩვენმა დიდმა ბელადმა და მასწავლებელმა, ჩვენმა მამამ და მეგობარმა მშობლიურმა **სტალინმა** მოგვცა თანხმობა კენჭი იყაროს თბილისის საბჭოს დეპუტატობაზე. თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭისყრის შესახებ თანხმობა მიღებულია აგრეთვე საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ **ვ. მ. მოლოტოვისა** და სახელოვანი საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელის ამხანაგ **ლ. პ. ბერიასაგან.** ამ მაღალი პატივის სასუხოდ ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას ვიმუშაოთ უფრო უკეთესად, კიდევ უფრო გავამრავლოთ ჩვენი სტახანოვური გამარჯვებები.

გაუმარჯოს სტალინურ სახკომს, სახელოვანი საბჭოთა დაზვერვის მებრძოლ ხელმძღვანელს ამხანაგ **ლ. პ. ბერიას!**

გაუმარჯოს დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს, საბჭოთა მთავრობის მეთაურს **ვ. მ. მოლოტოვს!**

გაუმარჯოს გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციის შემომქმედს, ჩვენს დიდ ბელადსა და მასწავლებელს, მშობლიურ და საყვარელ **სტალინს! (ტაში. შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“, „გაუმარჯოს ამხანაგ მოლოტოვს!“, „სალამი ქართველი ხალხის საყვარელ შვილს ამხანაგ ბერიას“).**

## ამხ. გ. მ. მუხაძის სიტყვა

პროფესორი

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ შექმნა კაცობრიობის ისტორიაში პირველი სოციალისტური სახელმწიფო, განთავისუფლება მოუტანა დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე მცხოვრებ ხალხებს, მისცა მათ ბედნიერი, სასიხარულო ცხოვრება, უფართოესი შესაძლებლობანი გადაუშალა შემდგომი აღმავლობისა და აყვავებისათვის.

ეს მიღწევები ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში, საბჭოთა ხალხის ბედნიერი ცხოვრების ურყევ კანონში. ამ დიად დოკუმენტში შეჯამებულია საბჭოთა კავშირის ხალხთა გამარჯვებები, რომლებიც მიღწეულია ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი **სტალინის** ბრძნული წინამძღოლობით.

დღეს, სტალინური კონსტიტუციის მიღების სამი წლისთავზე, საბჭოთა ხალხი სიამაყით ავლებს თვალს განვლილ გზას, იმ წარმატებებს, რომლებიც მოპოვებულია გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციის, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის დროშით, იგი უფრო მჭიდროდ ირაზმება მშობლიური ბოლშევიკური პარტიის გარშემო, დიდი ბელადის, მასწავლებლისა და მეგობრის, საყვარელი **სტალინის** გარშემო. **(მქუხარე ტაში).**

დღევანდელი დღესასწაული განსაკუთრებით ბრწყინვალეა, განსაკუთრებით სასიხარულოა. იგი შესანიშნავია ცნობით, რომელიც აღფრთოვანებით მიიღეს თბილისის მშრომელებმა. დიდმა **სტალინმა** მოგვცა თანხმობა კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე. **(ტაში).** ეს მაღალი პატივი აღგვაფრთოვანებს ახალი წარმატებებისა, ახალი გამარჯვებებისა და მიღწევებისათვის საბრძოლველად. დღეს ჩვენ უდიდესი სიხარულით გავიგეთ, რომ დიდი სტალინის ერთგულმა თანამებრძოლებმა ამხანაგებმა **ვ. მ. მოლოტოვმა და ლ. პ. ბერიამ** მოგვცეს თანხმობა კენჭი იყარონ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე. **(მქუხარე ტაში).**

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მომავალ არჩევნებში ქართველი ხალხი, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებთან ერთად, ერთსულოვნად მისცემს თავის ხმებს კომუნისტებისა და უპარტიოების უძლეველი სტალინური ბლოკის კანდიდატებს. არჩევნები იქნება ახალი ბრწყინვალე დემონსტრაცია ჩვენი ქვეყნის ხალხთა უსაზღვრო ერთგულებისა კაცობრიობის უდიდესი გენიოსის მშობლიური **სტალინისადმი.**

გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას!

გაუმარჯოს ჩვენი კონსტიტუციის გენიალურ შემომქმედს, სოციალიზმის მსოფლიო - ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორს დიდ **სტალინს! (მქუხარე ტაში).**

# ფ ი ნ ე თ ი

ფინეთი სსრ კავშირის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. მისი ტერიტორია — 388 ათასი კვადრატული კილომეტრი — მნიშვნელოვნად აღემატება ნორვეგიის ტერიტორიას და უდრის იმ ფართობს, რაც იაპონიას უკავია. მაგრამ მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით—3.834 ათასი კაცი—ფინეთს ერთერთი უკანასკნელი ადგილი უკავია ევროპის სახელმწიფოთა შორის.

ფინეთის სანაპირო ხაზის გასწვრივ გადაჭიმულია კლდოვან კუნძულთა — შხერთა ჯაჭვი; ეს კუნძულები ბოტნიის ყურის შესასვლელში უახლოვდებიან შვეციის ნაპირებს და ალანდის არქიპელაგს ჰქმნიან. ფინეთის ყველაზე დიდი კუნძულებია: სუურსაარი (ჰოგლანდი), სეისკარი, ლავანსაარი და ტიუტერსაარი (მცირე და დიდი).

ფინეთი ტყეებისა და ტბების ქვეყანაა. იქ 30 ათასზე მეტი ტბა და მრავალი მდინარე არის; წყლის ფართობი ფინეთის მთელი ტერიტორიის 10 პროცენტზე მეტს შეადგენს. ტბებში ყველაზე დიდია: საიმა, პეიანე და იმარი. ფინეთის მდინარეები, სადაც უხვად მოიპოვება ჭორომები, ციცაბოები და ჩანჩქერები, მეტ წილად არასანაოსნოა და მათ უმთავრესად ტყის დასაცურებლად იყენებენ. მათ შორის ყველაზე თვალსაჩინოა ვუოქსა, ტორნიო და კიუმენე. მდინარე ვუოქსა, რომელიც საიმის ტბიდან გამოდის, ჰქმნის ცნობილ ჩანჩქერს იმატრას.

ფინეთის ნიადაგი ნაკლებნაყოფიერია. მიწათმოქმედებისათვის გამოსადეგია მხოლოდ სანაპირო, უმთავრესად სამხრეთისა. სახნავ-სათესი მიწა ფინეთში მთელი ტერიტორიის 7,3 პროცენტს შეადგენს. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის $^2/_3$ სოფლის მეურნეობას მისდევს. ფინეთს [illegible]

[illegible]კები უმთავრესად ამერიკის ბამბას ხმარობდნენ.

ბალტიისპირა ქვეყნებს შორის ფინეთი თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბალტიის ზღვის აუზში. ფინეთის სანაპიროზე 25 ნავსადგურია. მათ შორის მთავარი ნავსადგურებია: ჰელსინკი, ვიპური, კოტკა, ხანკო — ფინეთის ყურის სანაპიროზე; ტურკუ, ბიერნებორგი, ვააზა, ულეაბორგი — ბოტნიკის სანაპიროზე და ყინულოვანი ოკეანის სანაპიროზე ნავსადგური პეტსამო (პეჩენგა), რომელიც არ იყინება.

○

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ თავისუფლება მიანიჭა მეფის რუსეთში მოსახლე ყველა ხალხს. ფინელმა ხალხმა პირველად მიიღო ისტორიაში უფლება დამოუკიდებელი და თავისუფალი არსებობისა. საბჭოთა ხელისუფლებამ ნებაყოფლობით მისცა ფინეთს სრული დამოუკიდებლობა, რასაც მას არავითარი სხვა ხელისუფლება რუსეთში არასოდეს არ მისცემდა.



ამის პასუხს ჩვენ ვპოულობთ გაზეთ „ტაიმსის“ განცხადებაში, რომელიც მან 1919 წელს გააკეთა: „თუ რუკას დავხედავთ დავინახავთ, რომ პეტროგრადთან მისასვლელი საუკეთესო გზა არის ბალტიის ზღვა, და რომ უმოკლესი და ყველაზე ადვილი გზა ფინეთზე გადის. ფინეთი პეტროგრადის გასაღებია, პეტროგრადი კი—მოსკოვისა“.

ფინეთი პატარა, მაგრამ ხელსაყრელი ბაზარია ამერიკის კაპიტალისა და საქონლის ექსპორტისათვისაც. მშრომელ კაზაკთა სრულიად რუსეთის 1-ლ ყრილობაზე 1920 წლის მარტს წარმოთქმულ სიტყვაში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ამბობდა: „ამჟამად ფინეთის სამი მეოთხედი უკვე შესყიდულია ამერიკელი მილიარდელების მიერ“. (თხზულებათა კრებული, ტომი XXV გვერდი 54).

ექსპორტის ამერიკელმა გამომკვლევმა ლუისმა თავის წიგნში „ამერიკის საერთაშორისო კაპიტალის დაბანდებანი“ გამოიანგარიშა, რომ ამერიკელთა ხელში 1935 წელს იყო 32 მილიონ დოლარად ღირებული ფინური ფასიანი ქაღალდები. მშრ[illegible]

[illegible]

# ოპერატიული ცნობა
## ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბისა

ლენინგრადის სამხედრო ოლქის ჯარმა 6 დეკემბერს საღამოს თავისი წინსვლის დროს შემდეგ საზღვრებს მიაღწია:

**მურმანსკის** მიმართულებით ჩვენმა ჯარმა, სძლია რა თეთრგვარდიელ ფინელთა წინააღმდეგობას 35 კილომეტრით წაიწია წინ **პეტსამოს** სამხრეთით.

**უხტის, რებოლსკის, პოროსოზერსკისა** და **პეტროზავოდსკის** მიმართულებით, წარმატებითი ბრძოლების შედეგად, ჩვენმა ჯარმა გადასჭრა **ნურმეს-იოენსუს** რკინიგზა და სახელმწიფო საზღვრიდან 60-65 კილომეტრით წაიწია წინ.

**კარელიის ყელზე,** მის აღმოსავლეთ ნაწილში, ჩვენმა ჯარმა საარტილერიო მომზადების შემდეგ გაარღვია ფინების მთავარი თავდაცვითი ხაზი **ვუოქსის** წყლის სისტემაზე, რომელსაც თეთრგვარდიელი ფინელები **„მაჟინო-კირკის ხაზს“** უწოდებენ, გავიდა მდინარე **ტაიპა-ლეენისკზე** და ჩრდილოეთისაკენ მიიწევს. ყელის დასავლეთ ნაწილში ჩვენ დავიკავეთ: სადგური **კივინიემი კექსჰოლმის** რკინიგზაზე, ბაქანი **კორპიოია ვიბორგვალკიარვის** რკინიგზის შტოზე, სადგურები **ლოუნატიოკი** და **პერკიარვი** ვიბორგის რკინიგზაზე, სადგურები **ინო** და **მესტერიარვი, ინოს** ფორტი პრიმორიეს რკინიგზის რაიონში და სოფელი **ხიანილია** ფინეთის ყურის ნაპირზე (ფორტ **ინოს** დასავლეთით 9 კილომეტრ მანძილზე).

ფრენისათვის არახელსაყრელი ამინდის გამო, ფრენას მხოლოდ ზოგიერთი მზვერავი თვითმფრინავი აწარმოებდა.

○

ლენინგრადის სამხედრო ოლქის ჯარი 7 დეკემბრის განმავლობაში განაგრძობდა წინსვლას და შემდეგ საზღვრებს მიაღწია:

**მურმანსკის** მიმართულებით ჩვენმა ჯარმა, რომელმაც ხელოვნური ხლართები და დანაღმული მინდვრები გადალახა, 45 კილომეტრით წაიწია **პეტსამოს** სამხრეთით.

**უხტის, რებოლსკის, პოროსოზერსკის** და **პეტროზავოდსკის** მიმართულებით ჩვენმა ჯარმა, სძლია რა ფინელ თეთრგვარდიელთა წინააღმდეგობას, სახელმწიფო საზღვრიდან 70-75 კილომეტრით წაიწია წინ. ამასთან ჩვენ ხელთ ვიგდეთ ექვსი 75 მილიმეტრიანი და ცხრა 37 მილიმეტრიანი ქვემეხი, დაზგის 20 და ხელის 37 ტყვიამფრქვევი, რამდენიმე საწყობი სურსათითა და სამხედრო ქონებით. ფინელმა თეთრგვარდიელებმა ადგილზე დასტოვეს მრავალი დაჭრილი და 300-ზე მეტი დამხრალი ჯარისკაცი. ჩვენმა საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო მტრის ორი თვითმფრინავი. ოთხი მფრინავი - ოფიცერი ტყვედ წამოვიყვანეთ.

**კარელიის ყელზე** — მის აღმოსავლეთ ნაწილში ჩვენმა ჯარმა გაარღვია ფინელთა მთავარი თავდაცვის ხაზი ვუოქსის წყლის სისტემაზე, 8-12 კილომეტრით წაიწია ჩრდილოეთისაკენ მდინარე **ტაიპალეენ-იოკიდან.**

ყელის დასავლეთ ნაწილში ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს სადგური დაბა **პერკ-იარვი ვიბორგის** რკინიგზაზე და 9 კილომეტრით წაიწიეს ჩრდილო-დასავლეთით; ჩვენ დავიკავეთ კირკა **უსიკირკო** და პრიმორიეს რკინიგზის სადგური **ნაურისიარვი.**

არახელსაყრელი ამინდის გამო (ქარბუქი, სქელი ნისლი) ავიაციის მოქმედება არ ყოფილა.

---

# ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბი უარჰყოფს

უცხოეთის პრესაში დაიბეჭდა ცნობები, ლენინგრადის სამხედრო ოლქის ჯარმა ფინეთის ჯართან ბრძოლაში 32 ტანკი და 16 თვითმფრინავი დაჰკარგაო.

ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბს ეს ცნობები მტკნარ სიცრუედ მიაჩნია. ოპერაციების მთელ პერიოდში ჩამოგდებულ იქნა საბჭოთა კავშირის 2 თვითმფრინავი, ხოლო 2 თვითმფრინავი, ცუდი ამინდის გამო, გზა აერია და, ალბათ, ფინეთის ტერიტორიაზე დაეშვა. ჩვენ კი ჩამოვაგდეთ ფინეთის 11 თვითმფრი[illegible] [illegible] მოქმედებაში იღებდნენ მონაწილეობას, სრულ წესრიგშია და ფინეთის ჯარს არცერთი საბჭოთა ტანკი არ წაუყვანია.

○

ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ „მურმანსკის რაიონებზე ფინეთის თვითმფრინავთა თავდასხმის დროს ვითომდა მოსპეს რუსეთის სულ ცირე 60 თვითმფრინავი“.

ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბი იუწყება, რომ ეს ცნობა სავსებით მოჭორილია, ვინაიდან მურმანსკის რაიონებში არ მომხდარა [illegible]

# მოსახლეობის იძულებითი ევაკუაცია ჰელსინკიდან

**ტალინი,** 6 დეკემბერი (საკდესი). ესტონეთის გაზეთების ცნობით, ჰელსინკსა და სხვა ქალაქებში განაგრძობენ მოსახლეობის გამალებულ იძულებით ევაკუაციას. გაზეთი „რახვალეხტი“ იუწყება: „ფინეთის გაზეთები, თავისთავად ცხადია, იძულებითი ევაკუაციის მიზეზებს არ იუწყებიან, მაგრამ კარგად ინფორმირებულ წრეებში აცხადებენ, რომ გაკოტრებულ მმართველებს თავიანთი საკუთარი მოსახლეობის ეშინიათ, ცდილობენ ძალდატანებით გაიყვანონ იგი ქალაქიდან და ამით დააშორონ დრო მოსახლეობის დაახლოებისა ფინეთის სახალხო არმიასა და წითელ არმიასთან.

---

# შვეციის ახალი მთავრობის შედგენა

**სტოკჰოლმი,** 6 დეკემბერი (საკდესი). გუშინ შვეციის პრემიერმა ჰანსონმა შვეციის დეპეშათა სააგენტოს საშუალებით ოფიციალური ცნობა გამოაქვეყნა იმის შესახებ, რომ მან მოლაპარაკება დაიწყო პარტიათა ლიდერებთან მთავრობის რეორგანიზაციისა და მისი მომავალი შემადგენლობის შესახებ. როგორც გაზეთი „სოციალ-დემოკრატენი“ იუწყება, გუშინ საღამოს გაიმართა სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და რიკსდაგის სოციალ - დემოკრატიული ფრაქციის თათბირი. თათბირმა ჰანსონს დაავალა განაგრძოს მოლაპარაკება სხვა პარტიებთან კოალიციური მთავრობის შექმნის შესაძლებლობის საკითხზე. გაზეთის აზრით, ახალი მთავრობის შედგენა ხელახლა დაევალება ჰანსონს, რომელიც ამჟამად არა მარტო პრემიერი, არამედ სოციალ-დემოკრა[illegible]

[illegible]